

(2007)

**გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1752 (2007)**

**2007 წლის 13 აპრილი.**

უშიშროების საბჭო, ეყრდნობა რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, 2006 წლის 13 ოქტომბრის 1716 (S/RES/1716) რეზოლუციის ჩათვლით,

მიესალმება რა გენერალური მდივნის 2007 წლის 11 იანვრის (S/2007/15) და 2007 წლის 3 აპრილის მოხსენებებს საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის საქმიანობის შესახებ,

მხარს უჭერს რა გაეროს გენერალური მდივნის და მისი წარმომადგენლის, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის დახმარებით, აგრეთვე რუსეთის, როგორც ხელშემწყობი მხარის და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ გაწეულ უწყვეტ ძალისხმევას,

ხაზს უსვამს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიასა და დსთ მშვიდობისმყოფელ ძალთა შორის მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობას, რომლებიც ამჟამად ასრულებენ მნიშვნელოვან როლს კონფლიქტის ზონის სტაბილიზაციაში, და შეახსენებს, რომ კონფლიქტის მყარი და ყოვლისმომცველი მოწესრიგებისათვის საჭიროა უსაფრთხოების სათანადო გარანტიები,

ხაზს უსვამს რა, რომ აუცილებელია სასწრაფო წესით უზრუნველყოფილ იქნეს აფხაზეთის, საქართველო, ეკონომიკური განვითარება იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს კონფლიქტით დაზიანებული თემების, განსაკუთრებით ლტოლვილებისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა ცხოვრება,

1. კვლავ ადასტურებს ყველა წევრი-სახელმწიფოს ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში და მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ყველა ძალისხმევას, რომლებიც ეფუძნება მათ გადაწყვეტილებას ხელი შეუწყონ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებას მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით და უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ფარგლებში;

2. მოუწოდებს ორივე მხარეს განაახლონ დიალოგი, სრულად გამოიყენონ ყველა არსებული მექანიზმი, როგორც ნაჩვენებია უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებში, ზუსტად დაიცვან ადრე მიღწეული შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტისა და ძალის გამოუყენებლობის შესახებ და გადაუდებლად დაასრულონ მუშაობა ძალის გამოუყენებლობისა და ლტოლვილებისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების შესახებ დოკუმენტების პაკეტზე;

3. შეახსენებს – მტკიცე და ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის მიზნით – თავის მხარდაჭერას დოკუმენტისადმი სათაურით “თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები” და მიესალმება დამატებით იდეებს,

რომელთა წამოყენებასაც მხარეები ისურვებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით პოლიტიკური დიალოგის შემოქმედებითად და კონსტრუქციულად გამართვის მიზნით;

4. იწონებს 2007 წლის 12 და 13 თებერვალს ქართული და აფხაზური მხარეების მონაწილეობით ჟენევაში გამართულ შეხვედრაზე გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის მიერ წამოყენებულ წინადადებებს ნდობის განმტკიცების ღონისძიებებთან დაკავშირებით და დაჟინებით მოუწოდებს ორივე მხარეს გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და საერთაშორისო პარტნიორების ხელშეწყობით და გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის მხარდაჭერით, რაიმე წინასწარი პირობის გარეშე, დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ ღონისძიებათა განხორციელებას;

5. მიესალმება 1716 (2006) რეზოლუციის განხორციელების საქმეში ორივე მხარის მიერ მიღწეულ პროგრესს, მოუწოდებს ქართულ მხარეს უზრუნველყოს, რომ ვითარება კოდორის ხეობის ზემო ნაწილში შეესაბამებოდეს ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების დებულებებს; და მოუწოდებს აფხაზურ მხარეს გამოავლინოს თავშეკავებულობა კოდორის ხეობის მიმართ საქართველოს მტკიცებებთან დაკავშირებით;

6. გმობს 2007 წლის 12 მარტის გამთენიისას კოდორის ხეობის ზემო ნაწილში სოფელზე თავდასხმას და დაჟინებით მოუწოდებს ყველა მხარეს, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ გამოძიებას, რომელსაც ფაქტების დამდგენი ერთობლივი ჯგუფი ატარებს გაეროს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელობით.

7. ხაზს უსვამს, რომ სიტუაცია ადგილზე, ისეთ სფეროებში, როგორცაა უსაფრთხოება, ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების დაბრუნება და აღდგენა და განვითარება, უნდა გაუმჯობესდეს, და მოუწოდებს ორივე მხარეს წინასწარი პირობების გარეშე განაახლონ დიალოგი ამ საკითხებზე, გამოიყენონ ყველა არსებული მექანიზმი, ოთხმხრივი თათბირის ჩათვლით;

8. დაბეჯითებით მოუწოდებს ორივე მხარეს სერიოზულად მოეკიდონ თითოეული მათგანის დასაბუთებულ შეფგოთებას უსაფრთხოების გამო, თავი შეიკავონ რაიმე ისეთი მოქმედებისაგან, რომლებიც შეიძლება იქნენ დაბრკოლებად მშვიდობიანი პროცესისათვის და აღმოუჩინონ საჭირო დახმარება გაეროს დამკვირვებელთა მისიას და დსთ მშვიდობისმყოფელ ძალებს;

9. ხაზს უსვამს დაჟინებულ აუცილებლობას შემსუბუქდეს ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა და აუცილებლობას უზრუნველყონ ადამიანების ცხოვრება უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში, და შეახსენებს რა ქვეყნის შიგნით გადაადგილებული ყველა პირის უფლებას დაბრუნდეს აფხაზეთში, საქართველო, მოუწოდებს ორივე მხარეს შეასრულონ ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს სტრატეგიული მითითებები დაბრუნებასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, გალის რაიონში;

10. მიესალმება ორივე მხარის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ახლანდელ კონტაქტებს და მოუწოდებს მომავალშიც შეინარჩუნონ ასეთი კონტაქტები;

11. ხაზს უსვამს, რომ ორივე მხარეს ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის, დსთ მშვიდობისმყოფელი

ძალეებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის სათანადო უსაფრთხოებისა და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფისათვის და მოუწოდებს ორივე მხარეს, შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ამასთან დაკავშირებით;

12. სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს აუცილებელი ღონისძიებების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ გაეროს დამკვირვებელთა მისიის მთელმა პერსონალმა სრულად დაიცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გატარებული პოლიტიკა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური შეზღავნების სრული შეუწყნარებლობის შესახებ, ინფორმაცია მიაწოდოს საბჭოს ამასთან დაკავშირებით და დაბეჯითებით მოუწოდებს ჯარების გამომგზავნ ქვეყნებს, უზრუნველყონ, რომ მათ პერსონალთან დაკავშირებული ქმედებები სათანადოდ იქნეს გამოძიებული და დასჯილი;

13. ადგენს გაგრძელდეს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის მანდატი შემდეგი პერიოდისათვის, რომელიც დასრულდება 2007 წლის 15 ოქტომბერს;

14. სთხოვს გენერალურ მდივანს ისარგებლოს მანდატის გაგრძელებით, საიმისოდ, რომ ორივე მხარეს აღმოუჩინოს მხარდაჭერა ნდობის განმტკიცების ზომების განხორციელებაში, და მოაწესრიგონ აქტიური და კონსტრუქციული დიალოგი და ინფორმაცია მიაწოდოს საბჭოს ამასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის შესახებ აფხაზეთში, საქართველო, არსებული მდგომარეობის შესახებ თავის შემდგომ მოხსენებაში;

15. გადაჭრით უჭერს მხარს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ძალისხმევას და მოუწოდებს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს გააგრძელოს თავისი შეუწყნარებელი და ერთიანი მხარდაჭერა;

16. ადგენს გაგრძელდეს აქტიური მუშაობა ამ საკითხზე

[www.un.org/docs](http://www.un.org/docs). საკუთარი თარგმანი)